ეფექტური და ქმედითი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

გრიშა ლაბაძე,

მარიამ მოციქულაშვილი,

სანდრო ჯიბლაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების სკოლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოდაძე, მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ მოციქულაშვილი

სანდრო ჯიბლაძე

გრიშა ლაბაძე

23.06.2024

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევა ეხება ეფექტური და ქმედითი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას ქალაქ თბილისის N საჯარო სკოლაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება მიზნის დასახვის თეორიას, მიზნობრივ მენეჯმენტს, რეალურ დროში სტრატეგიული დაგეგმვის მოდელსა და SMART მოდელს.

კვლევის მიზანს წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვის პრაქტიკის გაუმჯობესება, რაც სტრატეგიულ დაგეგმვაში მონაწილე პირებს დაეხმარებათ ისეთი დოკუმენტების შექმნაში, რომლებიც შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. კვლევის პროცესში გაერთიანდა წინარე დიაგნოსტიკური კვლევა (იგულისხმება სკოლის კონტექსტის გაცნობა), დიაგნოსტიკური კვლევა და ინტერვენციები.

კვლევისთვის განისაზღვრა კითხვები: „როგორ უნდა უზრუნველყოს სკოლამ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესამუშავებლად თანამშრომლობითი პროცესი?“; „როგორ უნდა აისახოს სტრატეგიულ დოკუმენტებში სასკოლო საზოგადოების თითოეული მხარის ინტერესი?“; „როგორ უნდა განვითარდეს სკოლა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების პროცესში?“

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდს. სკოლის კონტექსტის შესაქმნელად გამოყენებულ იქნა „წარმატებული ფუნქციონირების კითხვარი“ და ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ დირექტორთან. მეორე ეტაპზე შემუშავდა კითხვარი სასკოლო საზოგადოებისთვის და ინტერვიუები მასწავლებლებთან. ინტერვენციები კვლევის მიმდინარეობის პარალელურად ხორციელდებოდა. პირველი ინტერვენციის ფარგლებში შეიქმნა სკოლის SWOT ანალიზი. კითხვარებიდან და ინტერვიუებიდან მიღებული შედეგების სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობის შემდეგ ჩატარდა მეორე ინტერვენცია, რომელიც მოიცავდა შედეგებიდან პრობლემების გამოკვეთასა და მათ პრიორიტეტიზაციას, აგრეთვე, სტრატეგიული მიზნების დასახვას. მესამე ინტერვენციისთვის სტრატეგიული მიზნებისთვის ამოცანები განისაზღვრა, ხოლო

უშუალოდ ინტერვენცია მოიცავდა ერთ, სამუშაო ჯგუფის მიერ არჩეულ, მიზანზე პროექტის შექმნას.

ინტერვენციების შედეგად ჩამოყალიბდა სკოლის SWOT ანალიზი. სამუშაო ჯგუფმა დასახა ხუთი სტრატეგიული მიზანი (*სკოლის საზოგადოების უზრუნველყოფა ფსიქოლოგის მომსახურებით/ მშობელთა ჩართულობის გაზრდა სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად და პოზიტიური გარემოს შესაქმნელად/ სასკოლო საზოგადოების მხრიდან სკოლის მისია-ღირებულებების გაცნობიერება და დანერგვა პოზიტიური გარემოს შესაქმნელად/ სკოლის აღჭურვა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური გაზით სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად/ ერთცვლიან სწავლებაზე გადასვლა სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მოტივაციის ამაღლებისთვის)* და შეეფარდა კონკრეტული ამოცანები. ინტერვენციების შეფასების დროს, მიზნები დაკონკრეტდა პროცენტული მაჩვენებლებით. სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბების შემდეგ შეიქმნა პროექტი ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანზე, კერძოდ - „მშობელთა ჩართულობის გაზრდა სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად და პოზიტიური გარემოს შესაქმნელად“. პროექტის მიხედვით დაგეგმილი აქტივობებს მონიტორინგისა და შეფასების უზრუნველსაყოფად განესაზღვრა პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსები.

აღნიშნული პრაქტიკის კვლევა, განხორციელებული ინტერვენციებისა და მათი შედეგების მეშვეობით, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გააქტიურებას სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ჩამოყალიბების პროცესში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კვლევაში ჩართული საზოგადოება მზად არის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე მუშაობის გაგრძელებისთვის და სკოლის ავტორიზაციისთვის საჭირო დოკუმენტების ჩამოსაყალიბებლად. კვლევა, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ნათლად გააზრებას.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული დაგეგვა; სამოქმედო გეგმა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; თანამშრომლობის ხარისხის ზრდა; SWOT ანალიზი; ინტერვენცია; პრობლემის ხე; მიზნის ხე; პრაქტიკის კვლევა; პროექტი.

Abstract

The research conducted at Tbilisi N Public School aimed to enhance strategic planning processes through community involvement, drawing upon theoretical frameworks such as goal-setting theory, goal-oriented management, the real-time strategic planning model, and the SMART model. This study focused on developing effective strategic and action plans aligned with the school's mission, vision, and values.

The primary objective of this study is to advance the practice of strategic planning, enabling the individuals involved to create documents that are harmonious with the school's mission, vision, and values. The research process encompasses pre-diagnostic research, diagnostic research, and a series of carefully designed interventions.

The research questions defined for the study were: "How can the school ensure a collaborative process for developing strategic and action plans?"; "How should strategic documents reflect the interests of each segment of the school community?"; "How should the school evolve during the implementation of strategic and action plans?"

The research methodology integrates both quantitative and qualitative methods. To gain insights into the school's context, a "successful functioning questionnaire" was formulated, alongside a structured interview with the school principal. Subsequently, a questionnaire tailored for the school community and interviews with teachers were conducted. These activities were complemented by a series of interventions conducted in parallel with the research. These interventions involved creating a SWOT analysis of the school, sharing the results from the questionnaires and interviews with the school community, identifying and prioritizing issues, setting strategic goals collaboratively, aligning tasks with strategic objectives, and developing a project centered around one of the strategic goals.

After implementing the interventions, a SWOT analysis of the school was conducted. The working group established five strategic goals: providing the school community with the services of a psychologist, increasing parental involvement to enhance the teaching-learning process and foster a positive environment, raising awareness among the school community about the institution's mission values and implementing them to cultivate a positive

environment, equipping the school with appropriate material and technical resources for teaching and learning to enhance quality, and transitioning to a year-long teaching format to improve the quality of education and increase motivation. Specific tasks were assigned accordingly. Following the formulation of these strategic goals, a project was initiated focused on enhancing parental involvement to improve the teaching-learning process and foster a positive environment.

The study of the aforementioned practice, through the implemented interventions and their results, contributes to activating the involvement of the school community in the process of formulating the school's strategic and action plans.

In conclusion, it is evident that the community involved in this research is eager to continue their work on strategic and action plans and to establish the necessary documents for school authorization. The insights garnered from this research endeavor will undoubtedly provide valuable clarity on the strategic planning process.

Key words: Strategic planning; Action plan; Involvement of the school community; Increase in the quality of cooperation; SWOT analysis; Intervention; Problem tree; Goal tree; Practice research; Project.

მადლობა

მადლობას ვუხდით სსიპ ქალაქ თბილისის N საჯარო სკოლის დირექტორს აქტიური თანამშრომლობისა და გაწეული დახმარებისთვის. ასევე, პრაქტიკის კვლევაში ჩართულ სამუშაო ჯგუფს, მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა აქტივობაში.

უღრმესი მადლობა გვინდა გადავუხადოთ განათლების სპეციალისტსა და ასოცირებულ პროფესორს, მანანა რატიანს, კურსის ფარგლებში მოწოდებული ინფორმაციისთვის. ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს, ეკატერინე კვირიკაშვილსა და ბერიკა შუკაკიძეს, სამაგისტრო კურსების, „პრაქტიკა (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში)“ და „სტრატეგიული დაგეგმვა“, ფარგლებში მოწოდებული მასალებისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ პროფესორ ქ-ნ ქეთევან თოდაძეს, რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე გვაძლევდა რჩევებსა და რეკომენდაციებს და გვეხმარებოდა კვლევის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაში.